გვანცა ხელაძე
ალკალას უნივერსიტეტი, ესპანეთი

2026 წლის მაისში, Erasmus+ აკადემიური მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი და ასოცირებული პროფესორი, გვანცა ხელაძე, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ესპანეთში, ალკალას უნივერსიტეტში, ესპანეთი.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები არქიტექტურის სკოლის აკადემიურ და ადმინისტრაციულ წარმომადგენლებთან, რომელთა დროსაც განხილულ იქნა ორ უნივერსიტეტს შორის არსებული და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები. მონაწილეებმა ერთმანეთს გააცნეს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლების მიდგომები და აკადემიური საქმიანობის მიმართულებები, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია ინსტიტუციური კავშირების გაღრმავებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

მობილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა საერთაშორისო კონფერენციაში „EUGLOH Pedagogical Conference“ მონაწილეობა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები და ინოვაციური საგანმანათლებლო პრაქტიკები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაციას აკადემიურ სივრცეში, სწავლა-სწავლების პროცესზე მის გავლენას, ასევე აკადემიური კეთილსინდისიერებისა და შეფასების სისტემებთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

კონფერენციისა და სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა სხვადასხვა ევროპული უნივერსიტეტის მკვლევრებსა და აკადემიურ პერსონალს. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება სწავლების, კვლევისა და საგანმანათლებლო პროცესების მართვის მიმართულებით, იმსჯელეს საერთო გამოწვევებსა და მათ გადაჭრის შესაძლო გზებზე.

ვიზიტმა ხელი შეუწყო საერთაშორისო აკადემიური ქსელის გაფართოებას, გამოცდილების გაზიარებასა და ახალი პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებას, რაც მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობასა და საგანმანათლებლო განვითარების შესაძლებლობებს.